

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის
ოქმი №2

ქ. ახმეტა

18 იანვარი, 2018 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყვინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ: რ. ბაღაკაშვილი, ბ.ჭიჭიკლიშვილი, თ. წითელაური,
ახმეტის მუნიციპალიტეტის მ. კობტაშვილი, ა. ბულრიძე, თ. მგელიაშვილი,
საკრებულოს წევრები: ა. შათირიშვილი, გ. ხუცურაული, ლ. ითიურიძე,
ა. მექვეერიშვილი, რ. გახუაშვილი, თ. ბოდაველი,
ა. ხიზანაიძე, თ. ბორჩაშვილი, ვ. სუხოშვილი,
დ. იმერლიშვილი, ნ. ალავიძე, ი. მრელაშვილი,
შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, დ. ახალკაციშვილი,
თ.მოზაიძე, ვ. დედაბრიშვილი, ლ. გოგოთიძე,
გ. ხადიშვილი, ფ. შიომღვიმელიშვილი,

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰საათზე

საკრებულოს თავმჯდომარემ თამარ ყვინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე წევრებს
გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

3. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ის შექმნის ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

შაქრო ტერტერაშვილი შემოვიდა წინადადებით: შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს საკრებულოს წევრებისთვის სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების დროს გაწეული ხარჯების შესაბამის ფინანსურ კომპენსაციას.

ლევან ითიურიძემ აღნიშნა, რომ შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამჟამად მუშაობს საკრებულოს რეგლამენტსა და მერიის დებულებებზე, აღნიშნული საკითხების შემუშავების შემდეგ შეიძლება განვიხილოთ მოცემული საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

23 - მომხრე

4 - წინააღმდეგი

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

მომხსენებელმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“;

დანართი თან ერთვის ოქმს.

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

23 - მომხრე

4 - წინააღმდეგი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №2, „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: დაშვებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში: სპეციალური სატრანსპორტო საშუალების (გრეიდერი) მძღოლი-1, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების (კამაცუ) მძღოლი-1, ავტობუსის მძღოლი-1, მიკროავტობუსის მძღოლი -1, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი-1, მძღოლები მერიაში-3, ინფორმაციული ტექნოლოგიების - (IT) სპეციალისტი-1, მერის მრჩეველი-1, მერის თანაშემწე-1, მერის მისაღების კოორდინატორი (მდივანი) -1, ხოლო ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში: ერთი მძღოლის, ერთი მდივნის, ერთი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის, ერთი მრჩეველის მიღება 2019 წლის 1 იანვრამდე.

აზრი გამოთქვას:

შაქრო ტერტერაშვილმა აღნიშნა: არ არის შრომითი ხელშეკრულებით გრეიდერის მძღოლის აყვანის აუცილებლობა, რადგან მერიას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე დღით აიყვანოს მძღოლი ხელშეკრულებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

22 - მომხრე

4 - წინააღმდეგი

1 - მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 4 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“;

მოისმინეს: ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ -ის შექმნის ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებულის საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12³⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყეინიშვილი

